ზაპოროჟიისა და მელიტოპოლის მიტროპოლიტ ლუკას ღამის შინაპატიმრობა მიუსაჯეს

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 07.05.2024. 2024 წლის 7 მაისს კიევის სოლომენსკის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ზაპოროჟიისა და მელიტოპოლის მიტროპოლიტ ლუკას აღკვეთის ღონისძიების სახით ორთვიანი ღამის შინაპატიმრობა და ელექტრონული კონტროლის აპარატის ტარება მიუსაჯა.

მეუფე ლუკამ მოსამართლის დასკვნა თავის ტელეგრამ-არხზე **გამოაქვეყნა.** დადგენილებაში ნათქვამია, რომ პროკურორმა აღკვეთის ღონისძიებად შინაპატიმრობა მოითხოვა. მოსამართლემ პროკურატურის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა: მიტროპოლიტ ლუკას ეკრძალება ზაპოროჟიეში საცხოვრებელი ადგილის დატოვება 22 საათიდან დილის 6 საათამდე.

როგორც მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირის საიტი **იუწყება,** თავისუფლების აღკვეთის ეს ღონისძიება მიმდინარე წლის 1 ივლისის ჩათვლით იმოქმედებს, წინასასამართლო გამოძიების ვადების

საზღვრებში. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქი ვალდებული იქნება, ყოველ დაძახებაზე გამოცხადდეს გამომძიებელთან, პროკურორთან, გამომძიებელ მოსამართლესთან და სასამართლოში. ასევე, მას ეკრძალება ქალაქ ზაპოროჟიეს საზღვრების დატოვება გამომძიებლის, პროკურორის ან მოსამართლის ნებართვის გარეშე. სასამართლომ მღვდელთმთავარი დაავალდებულა, შესანახად ჩააბაროს საზღვარგარეთ გასამგზვრებელი პასპორტი, თავი შეიკავოს მასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის მონწმეებთან, მათ შორის მიტროპოლიტ ლუკას ტელეგრამ-არხის, სახელწოდებით „Лекарь.zp“, მონაწილეებთან (გამომწერლებთან) და ელექტრონული კონტროლის მოწყობილობის ტარება.

ადრე გამოქვეყნებული ინფორმაციით, 1 მაისს უკრაინის უშიშროების სამსახურმა ზაპოროჟიისა და მელიტოპოლის მიტროპოლიტ ლუკას მიმართ ეჭვი **გამოძთქვა.** უუს-ის ცნობით, ის თითქოს „პროვოცირებდა და აღვივებდა რელიგიურ სიძულვილს უკრაინაში“.

იმ დღეს, **ჩხრეკისას,** იერარქს ჰკითხეს, რატომ არ გადადის „მეუ“-ში. მიტროპოლიტ ლუკას ასევე დაუსვეს კითხვები მის ტელეგრამ-არხზე გამოქვეყნებულ რიგ პუბლიკაციებთან დაკავშირებით.

„ჩემი გასამართლება სურთ სიმართლისთვის. იმისთვის, რომ სიმართლეს ვლაპარაკობდი; არა პოლიტიკურ, არა გეოპოლიტიკურ, არამედ ჩვენს საეკლესიო სიმართლეს ქრისტეს შესახებ! სიმართლეს, რომელსაც მხოლოდ ერთ მიზნამდე მივყავართ – ცხონებამდე! მე ვარ პასუხისმგებელი თქვენზე, და მე ვაგებ პასუხს ღმერთის წინაშე. აი, მე, უფალო, და აი, ჩემი სამწყსო!” – **ციტირებს** იერარქს მჟკ-ის საიტი.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91739/